ზუგდიდი

# შეთანხმება ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე

№ 12/239
13 " 06 " 14

*ქ. ზუგდიდი* *13 ივნისი, 2014 წელი.*

ერთის მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან კონჯარიას სახით და მეორეს მხრივ, ***შპს „ნათება 2010“*** (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის თამაზ ბერაიას სახით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. „მიმწოდებლის“ 2014 წლის 13 ივნისის №50 წერილის თანახმად, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინეძის თემში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის შეწყვეტას, აღნიშნულის გამო მხარეებმა გადაწყვიტეს გააუქმონ №239 ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო 2014 წლის 6 ივნისს.

2. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

3. ამ ხელშეკრულების მიხედვით მხარეთა ვალდებულებები უქმდება აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე.

4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 5 (ხუთი) ეგზემპლარად, 4 (ოთხი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან,“ ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს.“

*„შემსყიდველი“*

*ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:*

........................................ /ლ. კონჯარია/

*„მიმწოდებელი“*

*შპს „ნათება 2010“-ს დირექტორი:*

........................................ /თ. ბერაია/

419982987